საკონკურსო განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს „სოფ. ძალისის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური რემონტი და ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე“.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისას კონკურსანტი პირის მიერ გათვალისწინებული უნდა იქნეს:

კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს სკვერზე და ადმინისტრაციულ შენობაზე

1. განმარტებითი ბარათი;
2. ფოტომასალა;
3. სიტუაციური რუკა 1:2000 მასშტაბი;
4. ლანდშაფტის დიზაინური ესკიზი; (სკვერზე)
5. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობათა უწყისი;
6. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;
7. შენობის შიდა აზომვითი ნახაზი. (ადმინისტრაციულ შენობის)

საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის კონკურსანტი პირი იხდის საფასურს -50 ლარს შემდეგ ანგარიშზე:

ს.ს ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: 220101757

მიმღები: ს.ს.ი.პ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში №10591718543

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

1. გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
2. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

3. კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
4. საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ზემოაღნიშნული მონაცემების დარღვევით გაცემული საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კონკურსანტი პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

საკონკურსო წინადადების წარდგენის ვადებია გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღე, ხოლო წინადადების მიღებიდან 2 დღეში უნდა წარმოადგინონ „წინა ესკიზური პროექტები“, საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო წინანადების ფასი, საბოლოოდ საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ეგზემპლარად და პლიუს ელექტრონული ვერსია, ხოლო გამარჯვებულმა კონკურსანტმა ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი დღე ვადაში წარმოადგინოს დასრულებული პროექტი.

სოფ. ძალისის ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სავარაუდო ღირებულებაა 1000 (ერთი ათასი) ლარი, ხოლო და ქ. მცხეთაში, რუსთაველის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების სავარაუდო ღირებულებაა 150 (ას ორმოცდაათი) ლარი.

საკონკუსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს ზემოთმითითებულ ყველა პირობას, შესაბამისი დოკუმენტი არ განიხილება.

მის: მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ. მცხეთა დ. აღმაშენებლის ქ. №73

ტელ: 51-26-96